ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

წმ. გიორგი შეყენებულის სულიერი მისია

წმ. გიორგი შეყენებულის შესახებ ცალკე ჰაგიოგრაფიული თხზულება არ შექმნილა. ცნობები მის შესახებ შემოგვინახეს გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულმა თხზულებამ, შავ მთასა და ათონზე შექმნილი და გადაწერილი ხელნაწერების კოლოფონებმა. გვიანდელი წყაროებიდან საყურადღებოა ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა". წმ. გიორგი შეყენებულის მოღვაწეობა სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. შავი მთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ცალკეული საკითხის კვლევისას ელენე მეტრეველმა გაამახვილა ყურადღება მის დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე.

მოხსენებაში გიორგი შეყენებულის ხატ-სახე წარმოჩენილია სამი მიმართულებით: 1. როგორც გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟი; 2. მისი ცხოვრების, მოღვაწეობისა და ორი ჰაგიოგრაფიული თხზულების შექმნის ინიციატივისა და 3. ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის თვალსაზრისით.

გიორგი მცირის თხზულებაში გიორგი შეყენებულის, როგორც წმინდანის, ხატ-სახე ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრე-

ბული სახისმეტყველებითი საშუალებებითაა წარმოსახული. წმინდანის სივრცული არეალი, „ნაპრალი კლდესა შინა“, სიმბოლურად გაიაზრება, რადგან მღვიმე სულიერი განმარტობის ადგილია, საიდანაც მოღვაწეს ზეცათა მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობა ეძლევა. მას თხზულებაში წინასწარმეტყველური მისიაც აკისრია – რათა ახალგაზრდა წმ. გიორგი მთაწმინდელს შთააგონოს ერისათვის ზრუნვა წმინდა წიგნების გამრავლებით.

საგანგებო კვლევის საგანია წმ. გიორგი შეყენებულის მიერ თავისი მონაფის, წმ. გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლის ტექსტი გამოაქვეყნა ელენე მეტრეველმა. მოხსენებაში მოცემულია საგალობელთა სახისმეტყველებითი ანალიზი, სიახლოვე გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან და განსაზღვრულია მათი ადგილი ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში.

წმ. გიორგი შეყენებული მრავალმხრივი მოღვაწეა, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ კულტურას, უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ეკლესიის, ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიაში. იგი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, რომელმაც ორი მწერალი მოუმზადა ქართულ ლიტერატურას და თავადაც შესანიშნავ ჰიმნოგრაფად მოგვევლინა.